<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2021 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის მსახიობის კახი კავსაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევს მიენიჭოს მსახიობის კახი კავსაძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

8

ალბერტ ეინშტეინის II შესახვევი
UN2088268
UN2088046
UN2088987
44.80784, 41.6949

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032120262
თარიღი: 21/07/2021
პინი: 8525

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას კრწანისის რაიონში, ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევისთვის კახი კავსაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ კახი კავსაძის ქუჩის გავრცელების არეალის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



კახი კავსაძე
(1935-2021)

ქართული კინოსა და თეატრის მსახიობი, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის წამყვანი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

დაიბადა თბილისში. მისი დაბადების შემდეგ მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ტყიბულში. მამამისი, ლოტბარი დავით კავსაძე 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ის წითელი არმიის 224-ე მსროლელთა ბრიგადაში მსახურობდა, როდესაც ტყვედ ჩავარდა. ქართველ ტყვეთა ბანაკში დაინიშნა ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად. ომის შემდეგ, 1946 წლის 10 იანვარს საბჭოთა ხელისუფლებამ დავით კავსაძე დააპატიმრა და წაუყენა ბრალდება - სამშობლოს ღალატი ჩადენილი სამხედრო პირის მიერ. გადაასახლეს სვერდლოვსკის ოლქში, სადაც ის გარდაიცვალა.

კახი კავსაძემ 1959 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და გახდა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი. კინოში მისი დებიუტი 1950-იან წლებში შედგა. 70-ზე მეტ მხატვრულ, დოკუმენტურ, მოკლე და სრულმეტრაჟიან ფილმშია გადაღებული. შექმნა სახასიათო და დასამახსოვრებელი როლები ფილმებში:

„ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (დონ კიხოტი) რეჟისორი რეზო ჩხეიძე; „მონანიება“ (მიხეილ კორეშელი) რეჟისორი თენგიზ აბულაძე; „იავნანა“ 9ქეთოს ბაბუა0 რეჟ. ნანა ჯანელიძე; „მიდიოდა მატარებელი“ (ლენსტანბერი) რეჟ. გიორგი შენგელაია; „თბილისი, პარიზი, თბილისი“ 9მანუჩარი0 რეჟ. ლეილა აბაშიძე; „ყვარყვარე“ (ტიტე ნატუტარი) რეჟ. დევი აბაშიძე; „ღვინის ქურდები“ (ელიბო) რეჟ. ვალერიან კვაჭაძე და მრავალი სხვა.

იყო საქართველოს სახალხო არტისტი, ქალაქ დუშანბეს საკავშირო კინოფესტივალის პრემიის ლაურეატი. 2008 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა კახი კავსაძის „ვარსკვლავი“.

აღსანიშნავი თეატრალური როლებია: ადამი („ღვთაებრივი კომედია“), თავადი კოწია („გუშინდელნი“), დევდარიანი („საბრალდებო დასკვნა“), ილიკო („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), სიმონ ჩაჩავა („კავკასიური ცარცის წრე“), ბატონი დევი („მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“) და მრავალი სხვა

გარდაიცვალა 2021 წელს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.